# იმოქმედეთ სკოლების გლობალური ქმედების დღეს!

## ყველა იმარჯვებს, როცა (კლიმატის შესახებ) ქმედებას ვახორციელებთ, ასე რომ, ირბინეთ, იარეთ, ან იტრიალეთ – მთავარი მიზანია, ამოძრავდეთ!

მარათონს დასჭირდება ასობით ადამიანის ერთობლივი მუშაობა, რათა ახალგაზრდების გზავნილი გლაზგოდან შარმ ელ-შეიხამდე 7 767 კილომეტრის მანძილზე გადაიტანოს. ისინი სირბილით, ველოსიპედითა და ცურვით გაივლიან 18 ქვეყანას.

მას შემდეგ, რაც თქვენი მოსწავლეები დაამზადებენ საკუთარი ესტაფეტის ჯოხსა და შეადგენენ კლიმატის მოქმედების შეტყობინებას, სთხოვეთ მათ, მოიფიქრონ მისი ტრანსპორტირების კრეატიული გზა სკოლის ან დასახლების ტერიტორიაზე.

## საკლასო აქტივობა

**ჩართეთ თქვენი მოსწავლეები მარათონის ორგანიზებაში!**

**1) დასაწყისისთვის, სთხოვეთ მათ, წარმოიდგინონ როგორი უნდა იყოს კლიმატის მოქმედების დღე და სთხოვეთ განიხილონ შემდეგი კითხვები:**



- რამდენი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას?
- მასწავლებლები და მშობლებიც მონაწილეობენ?
- რამხელა იქნება სარბენი ბილიკი და რამდენი დრო ექნება თითოეულ მორბენალს?
- როგორ აღრიცხავთ რა მანძილი ირბინა თითოეულმა მონაწილემ?
- უსაფრთხოების რა ზომებია გასათვალისწინებელი?
- შეძლებთ თუ არა ამ ღონისძიების მეშვეობით სახსრების მოზიდვას თქვენი საკუთარი №კლიმატისმოქმედების პროექტისთვის?
- როგორ აპირებთ მოსწავლეების, პერსონალის და მშობლების მოტივირებას აქტიური ჩართულობისთვის?

2) შემდეგ, თქვენმა მოსწავლეებმა უნდა დააორგანიზონ მარათონი. ძალიან ბევრი გზა არსებობს ამის გასაკეთებლად და სკოლის აქტივობის გასაზომად. თქვენ შეგიძლიათ:

- შექმნათ მონიშნული სარბენი ბილიკი სკოლის ტერიტორიაზე. გაზომეთ ტრასის მანძილი, დაითვალეთ სტუდენტების რაოდენობა და რამდენჯერ გაირბენენ ამ მანძილს მოსწავლეები, რათა დავითვალოთ ჯამურად რა მანძილს გაივლის თქვენი სკოლა მარათონში.
- გამოიწვიეთ მოსწავლეები მოინიშნონ თავიანთი დაფარული დისტანციები და საკუთარი თვალით ნახონ რამდენად შორს მიდიან ისინი მთავარი მარშრუტის გასწვრივ.

- გაახანგრძლივეთ გამოწვევა და სთხოვეთ მოსწავლეებს ფეხით ან ველოსიპედით იარონ სკოლაში მომავალ კვირას. ეს კარგი გამოწვევაა მშობლებისთვისაც.

## აი თქვენი გამოწვევაც!
## შეუძლია თქვენს სკოლას ჯამურად დაფაროს 7 767 კილომეტრი ან მეტი მანძილი?

**არ დაგავიწყდეთ თქვენ მიერ დაფარული დისტანციების მონაცემის შეყვანა მარათონის ვებგვერდზე!**

როცა დაასრულებთ მარათონს და ინფორმაციას ატვირთავთ მარათონის ვებგვერდზე, ჩვენ დავაჯამებთ გავლილ მანძილებს და საერთო მხარდაჭერით მოვითხოვთ უკეთეს გარამოსდაცვით განათლებაზე წვდომას.

**გინდათ რამე განსხვავებული გააკეთოთ?**

იხილეთ შემდეგი გვერდი ალტერნატიული იდეებისთვის, რათა ჩაერთოთ სკოლების გლობალური ქმედების დღის აღნიშვნაში, 3 ნოემბერს (ან ნებისმიერ სხვა დღეს 6 ნოემბრამდე).

**გააზიარეთ თქვენი დღე სოციალური მედიის გამოყენებით შემდეგი მონიშვნებით:**
**#RunningOutOfTime #GlobalSchoolsActionDay #TheClimateRelay**

**მონიშნე @ClimateRelay და @fee_global Facebook-ზე and Instagram-ზე, @Climate_Relay და @FEEInt Twitter-ზე.**

RUNNING OUT OF TIME

## მარათონის ალტერნატიული იდეები

**ყველა მარათონს არ სჭირდება სარბენი ბილიკი – არსებობს უამრავი გზა თქვენი მარათონის მარშრუტის ორგანიზეისთვის.**

**შეგიძლია მარათონში ჩაერთო სკუტერით, ველოსიპედით ან სხვა სახით (რეკომენდაციები იხილეთ ქვემოთ):**

### იხტუნე ბილიკზე

შესთავაზეთ მოსწავლეებს გამოიყენონ ლახტი, პოგოს ჯოხი, ან უბრალოდ იხტუნონ მარათონის ბილიკის გასწვრივ.

### თემატური წრეები

მოაწყვეთ თემატური მარათონის წრეები. სთხოვეთ მოსწავლეებს გამოეწყონ კლიმატის ცვლილების თემით შთაგონებული კოსტუმებით.

### სქემები

შექმენით გამოწვევა მოსწავლეთათვის, საინტერესო და განსხვავებული სირთულის ეტაპებით, რათა პროცესმა ჩაითრიოს მოსწავლეები.

### იცეკვეთ

თქვენს მოსწავლეებს შეუძლიათ დადგან ცეკვის ნომერი კლიმატის ცვლილების მოქმედების დღესთან დაკავშირებით.

### გააკეთეთ ჯაჭვი

მოსწავლეებთან ერთად წრე შემოარტყით სკოლას და სიმბოლურად ესტაფეტის ჯოხი გადაეცით ხელიდან ხელში. ეს აქტივობა ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობას გაუსვამს ხაზს მცირეწლოვან მოსწავლეებში.

### ტყის სკოლები

გაიყვანეთ მოსწავლეები გარეთ და ჩაუტარეთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ღია გაკვეთილი, მებაღეობის მასტერკლასი ან ჩვენი სათბურის აირების თამაში ათამაშეთ.

## გვინდა თქვენთან ერთად ავღნიშნოთ ეს დღე!

**გააზიარეთ თქვენი დღე სოციალური მედიის გამოყენებით შემდეგი მონიშვნებით:**
#RunningOutOfTime #GlobalSchoolsActionDay #TheClimateRelay

**მონიშნე @ClimateRelay და @fee_global Facebook-ზე and Instagram-ზე, @Climate_Relay და @FEEInt Twitter-ზე.**